

პროგრამა

ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში

(WMTR) II ფაზა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემადეებში
არსებული არალეგალური
ნაგავსაყრელის დახურვის გეგმა

2018 წელი



წინამდებარე ანგარიში მომზადდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის განსახილველად.

USAID-ის კოოპერაციული კონტრაქტი AID-114-A-17-00002

მომზადებულია:

მისიის გარემოსდაცვითი ოფისისათვის

ეკონომიკური ზრდის ოფისისათვის

USAID | კავკასია

მომზადდა:

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ

ქ. თბილისი, ბეთლემის ქ. #27, 0105, საქართველო

აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

1. არსებული სიტუაციის აღწერა

სამიზნე არალეგალური ნაგავსაყრელის ტერიტორია მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემამდეში ორ ლოკაციაზე (263 + 367). ნაგავსაყრელი, რომლის საერთო ფართობია 630მ² განთავსებულია ციცაბო ფერდზე. საველე გასვლებისა და შეფასებების მიხედვით, ადგილზე განთავსებულია დაახლოებით 126 მ³ ნარჩენი. უშუალოდ ნაგავსაყრელამდე მისვლა შესაძლებელია არსებული ასფალტირებული გზით.

ნარჩენი არსებულ არალეგალურ ნაგავსაყრელზე იყრებოდა წლების მანძილზე, ნარჩენები მოთავსებულია ცელოფნის პარკებში, ტომრებში, ნარჩენების მასის უმეტესობა კი პირდაპირ მიმოფანტულია მთელ ტერიტორიაზე.

ნარჩენების გროვები წარმოდგენილია უმეტესწილად პლასტმასის, პოლიმერული, მინის, მეტალის და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების სახით. ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დადგინდა, რომ ნარჩენების ქვეშ განთავსებული ნიადაგის ფენა და გრუნტი დაბინძურებული არ არის და აკმაყოფილებს ნორმებს (იხ. დანართი 1).

2. განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემამდეში არალეგალური ნაგავსაყრელის დახურვისას მოხდება არსებული ნარჩენების მოგროვება, გამოტანა გზის მიმდებარედ მოწყობილ სპეციალურ დროებით გადასატვრით მოედანზე, დაიტვირთება ავტოთვითმცლელელებზე, ტრანსპორტირება და განთავსება ქ. ბათუმის ოფიციალურ ნაგავსაყრელზე, სრული ოდენობით. ნარჩენების ზიდვის მანძილი არალეგალური ნაგავსაყრელიდან ქ. ბათუმის ნაგავსაყრელ პოლიგონამდე, შეადგენს 92 კმ-ს.

ციცაბო ფერდის გამო ადგილზე სამუშაოების წარმოება რაიმე ტექნიკის საშუალებით შეუძლებელია. არსებული ნარჩენი უნდა შეგროვდეს ხელით, ჩაიყაროს ტომრებში და ამოიზიდოს დროებით გადასატვრით მოედანზე.

ნარჩენების გამოტანა და ტრანსპორტირება ოფიციალურ ნაგავსაყრელამდე განხორციელდება ნაკადურად. გვაქვს ორი ნაკადი:

პირველი ნაკადი მოიცავს ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე ნარჩენების მოგროვების, გამოტანის, დატვირთვის და ასევე გადმოზიდვის სამუშაოებს, სპეციალურად მოწყობილ დროებით გადასატვრით მოედანამდე, 30 მ-მანძილზე, ურიკებით.

არალეგალურ ნაგავსაყრელზე ნარჩენების შეგროვება და სამშენებლო ტექნიკისა და ტრანსპორტის წვდომის ადგილებამდე გამოტანა განხორციელდეს ხელით, საზიდარების გამოყენებით. ამ ადგილებში მოხდება ნარჩენების კონცენტრაცია

გროვების სახით და შემდგომ დაიტვირთება ავტოთვითმცლელელებზე, პნევმოთვლიანი ექსკავატორის გამოყენებით, ჩამჩის მოცულობით 0,15 მ³. ექსკავატორი აღჭურვილი უნდა იყოს გრუნტის გადასაადგილებელი დანიტაც. ტერიტორიიდან ნარჩენების მასების გამოტანის შემდეგ უნდა მოხდეს ტერიტორიის დამატებითი, ზედმიწევნითი დასუფთავება ნარჩენების წვრილი ფრაქციის ნარჩენისაგან. აღნიშნული აქტივობა, დამატებით დასუფთავებაც ხელით უნდა განხორციელდეს, ფარცხებისა და ცოცხების გამოყენებით.

დროებითი გადასატვირთი მოედანი (ფართობი დაახლოებით 20მ²) უნდა მოეწყოს ნაგავსაყრელის მიმდებარედ, ჩვეულებრივი სატვირთო ავტოტრანსპორტისათვის თავისუფალი წვდომის ადგილზე. აღნიშნულ ადგილზე მოხდება არალეგალური ნაგავსაყრელიდან გამოზიდული ნარჩენების ჩამოცლა ურიკებიდან.

პირველი ნაკადის სამუშაოებთან ერთად ხორციელდება **მეორე ნაკადის** სამუშაოები, როგორცაა: ნარჩენების დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე ექსკავატორის მეშვეობით, მათი ტრანსპორტირება და განთავსება ქ. ბათუმის ოფიციალურ ნაგავსაყრელზე. მეორე ნაკადის სამუშაოების ნაწილს, 45 მ³ ნარჩენების დატვირთვისა და გადატანის სამუშაოებს ქ. ბათუმის ოფიციალურ ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს კონტრაქტორი კომპანია, ხოლო დარჩენილი ნაწილის დატვირთვისა და გადატანის სამუშაოებს და შესაბამისი მომსახურების შესყიდვას მოახდენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. ქ. ბათუმის ოფიციალურ ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება-მომსახურების მთლიანი მოცულობის (126 მ³) მოსაკრებლის გადახდას სრულად უზრუნველყოფს ხულოს მუნიციპალიტეტი.

პირველი და **მეორე** ნაკადის სამუშაოები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იქნება. აქედან გამომდინარე, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემამეებში არალეგალური ნაგავსაყრელის დახურვის სრული ღონისძიებების სათანადო შესრულების უზრუნველსაყოფად, მოხდება **პირველი** და **მეორე** ნაკადების სამუშაოების შემსრულებელი კომპანიების მიერ მოქმედებათა კოორდინაცია.

დანართი 1 წარმოადგენს წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის კვლევებს, რომლის შედეგადაც დასტურდება, რომ წყლისა და ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია. დანართი 4 კი საპროექტო ნახაზებს წარმოადგენს შესაბამისი კოორდინატებისა თუ სხვა ნიშნულების მითითებით, დანართი 2–ში გეოლოგიური კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

დახურვის სამუშაოების ჩამონათვალი:

არალეგალურ ნაგავსაყრელზე არსებული ნარჩენების ხელით დამუშავება (I კატ. გრუნტის);

არალეგალური ნაგავსაყრელის ტერიტორიის საბოლოო, დამატებითი გაწმენდა წვრილი ფრაქციის ნარჩენებისაგან, ხელით (პ.1-ით გათვალისწინებული ნარჩენების მასის გამოტანის შემდეგ);

ნარჩენების გადატანა ხელის საზიდარებით, 30მ მანძილზე, ნაგავსაყრელის ფარგლებში, გროვებში განთავსებით, შემდგომი დატვირთვისათვის;

გროვებში განთავსებული ნარჩენების (I კატ. გრუნტი) დამუშავება და დატვირთვა ნაგავსაყრელზე ავტოთვითმცლელზე, ექსკავატორით პნევმო-სვლაზე (ჩამჩის მოც. 0,15კუბ.მ.).

დახურვის სამუშაოების ბიუჯეტი წარმოდგენილია დანართში 3.

დახურვის სამუშაოების დროს ასევე, მოხდება მონიტორინგი შემდეგი აქტივობების განხორციელების კუთხით, რომლებიც მიმართული იქნება საქმიანობაში ჩართული პერსონალის უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მინიმიზაციის უზრუნველსაყოფად. კერძოდ განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- კარგად ხილვადი ნიშნის დამონტაჟება ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მითითებული იქნება კონტრაქტორი, სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლითაც დაინტერესებული პირი შეძლებს კითხვების შემთხვევაში კომპანიასთან დაკავშირებას;
- სამუშაო ადგილზე პერსონალის უსაფრთხოების წესების დაცვა (მათ შორის სამუშაოების დაწყებამდე მუშებისათვის უსაფრთხოების ბრიფინგის ჩატარება, (მათ შორის ძირითადი წესების შესახებ, მაგ. ობიექტზე მოწვევის ან ჭამის შეზღუდვა, ხელის დაბანა ან ხელის სადეზინფეციო ხსნარის გამოყენება სამუშაოს შემდეგ), ბრიფინგი მოულოდნელი ნარჩენების აღმოჩენის პროცედურების შესახებ¹, პერსონალის აღჭურვა სპეცტანსაცმლით და უსაფრთხოების დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით, მათ შორის ნიღბები, სათვალეები, ტყავისხელთათმანები, 1 კატეგორიის ტყავის ფეხსაცმელი (ფეხების დასაცავად) ფეხსაცმელი);
- უზრუნველყოს ნარჩენების შეგროვების დროს მწვანე ნარგავების დაზიანების პრევენცია;
- დროებითი გადამზიდი სადგურის ბადით შემოღობვა, სამუშაოების დასრულების შემდეგ გადამზიდი სადგურისთვის მოწყობილი ტერიტორიის აღდგენა გრუნტის და ნიადაგის ზედაფენის დამუშავება-დასუფთავების გზით;
- სატვირთო მანქანების ბრეზენტით გადახურვა მათი მოძრაობისას;

¹ ქიმიური ნივთიერებების შემცველი კონტეინერების, მედიკამენტების, ნემსების, ასბესტის ფილებისა და ა.შ. აღმოჩენის შემთხვევაში მომსახურე პერსონალმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს პროგრამის მენეჯმენტს და USAID-თან და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა შეირჩეს ზემოაღნიშნული ნარჩენების მართვის საუკეთესო გზა,

- ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოების შეზღუდვა დღის სამუშაო საათებით ობიექტზე შემავალი ყველა სატრანსპორტო საშალებისთვის არაასფალტირებულ გზებზე გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა 24 კმ/სთ–მდე ;
- გზაზე მტვრის წარმოშობის პრევენციის ხერხების გამოყენება (მაგალითად, წყლის გამოყენება, ობიექტზე წყლის მოსხურება);
- გამოყენებული იქნეს ლიცენზირებული, დაზღვეული და ნებართვის მქონე სატრანსპორტო საშუალებები, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
- გამოყენებული იქნეს გამართული სატრანსპორტო საშუალებები. ასევე მოხდეს მათი ტექნიკური მომსახურება მწარმოებლების რეკომენდაციების შესაბამისად (ზეთების დაღვრის პრევენცია).



მარშრუტი: ირემადეები-ბათუმის ნავსადგომი



ირემაძეების ნაგავსაყრელის ლოკაცია

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა



